,ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევ მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 23 სექტემბრის №01-02/185 ბრძანების

დანართი №4

საკონკურსო და სააპელაციო კომისიების მუშაობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“) საგანმანათლებლო პროგრამებზე **2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სასწავლო პროცესის** (ვაკანტური სასწავლო კურსების) წარმართვის მიზნით ღია კონკურსის წესით მოსაწვევ მასწავლებელთა პერსონალის (მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი) შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო და სააპელაციო კომისიების მუშაობის რეგულაციას.

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა და ფუნქციები

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

2. კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება **არანაკლებ 3 წევრით,** მათ შორის კომისიის თავმჯდომარით და კომისიის მდივნით. დასაშვებია **სააპელაციო კომისიის** 2-წევრიანი შემადგენლობა. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

3. კომისიის ყველა სხდომა არის დახურული და კომისიის წევრები ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია საბოლოო შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.

4. კომისიის ფუნქციებია:

ა) კონკურსის პროცედურის ორგანიზება, დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) კონკურსანტების განცხადებების განხილვა და კონკურსანტებთან გასაუბრება (საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია მოითხოვოს კონკურსანტის მიერ საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის ჩატარება (შესასრულებელი დატვირთვის სახის შესაბამისად);

გ) სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნა;

დ) კონკურსის შედეგების წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისათვის, მისი საჯარო გამოცხადება ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ბსუ-ს ვებგვერდზე, ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად.

5. კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს საკონკურსო კომისიის მუშაობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, საკონკურსო კომისიის სხდომების დანიშვნა, ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა; სხდომებისათვის დოკუმენტაციისა და მასალების მომზადების კონტროლი; სხდომების წარმართვა კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის საფუძველზე.

6. კომისიის მდივანმა უნდა უზრუნველყოს:

ა) კომისიის წევრებისათვის სხდომების დროისა და ადგილის შეტყობინება;

ბ) კომისიის წევრების საჭირო მასალებითა და დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;

გ) კომისიის მუშაობის ოქმების წარმოება და შესაბამისი საოქმო გადაწყვეტილებების ამ წესითა და კონკურსის გამოცხადების სამართლებრივი აქტის შესაბამისად საჯარო გავრცელება;

დ) კონკურსანტების გასაუბრების განრიგის შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება და კონკურსანტების ინფორმირება;

ე) საკონკურსო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის დავალებების შესრულება.

7. **კომისია უფლებამოსილია:**

ა) კონკურსანტს მოსთხოვოს მის მიერ წარმოდგენილ განაცხადში ან სხვა მასალაში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების კომისიის მიერ დადგენილ ვადებში წარდგენა;

ბ) კონკურსიდან მოხსნას კონკურსანტი, თუ: წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს არასწორ ინფორმაციას; წარმოდგენილი დიპლომი არ შეესაბამება შესასრულებელი სამუშაოს პროფილს ან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში კონკურსანტმა არ/ვერ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტები; არ გამოცხადდა ან უარი განაცხადა გასაუბრებაზე ან/და საკონკურსო კომისიის მიერ მოთხოვნილი საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის (შესასრულებელი დატვირთვის სახის შესაბამისად) ჩატარებაზე.

მუხლი 3. კომისიის გადაწყვეტილებაუნარიანობა და სხდომის ოქმი

1. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრების უმრავლესობა. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში სხდომა ინიშნება სხვა დროს.
2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, ხოლო კომისიის დასკვნას (გადაწყვეტილებას) ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.
3. კომისიის სხდომების ოქმებში უნდა დაფიქსირდეს:

ა) სხდომის თარიღი;

ბ) დამსწრეთა შემადგენლობა და დღის წესრიგი;

გ) საკითხის განხილვის მოკლე შინაარსი;

დ) სხდომაზე კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება.

4. შერჩეულ კანდიდატად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც ხმას მისცემს საკონკურსო კომისიის წევრთა უმრავლესობა.
5. კომისიის სრული დოკუმენტაცია (კონკურსანტთა განცხადებები, დოკუმენტაცია და ოქმები), კონკურსის დასრულებისა და შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ, შესანახად გადაეცემა ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).